

მეცნიერება

1883-1886

მწვემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვისათს, ოცსა და ოც-და-ათ წიგნებში.

ჩვენი ზარბაზნი მათ-გატონების და მალ-გატონების საუზრადღებოდ.

სტატია მეოთხე.

წინა სტატიებში ჩვენ ბევრი ვეძიეთ ჩვენს ჭარბებელში შრომის და მორბედობის სიყვარული, მაგრამ, როგორც მკითხველმა უკვე დაინახა, ამ მხრით ჩვენ ვერაფერი სწავებოდით ვერ აღმოვაჩინეთ. მაგრამ რადგანაც წინა სტატიებში ჩვენ არ შევხებოდით ჩვენი საზოგადოების განათლებულს ნაწილს, ანუ ესრეთ წოდებულს „ინტელიგენციას“, ამისათვის ჩვენ დღეს განვაგრძობთ ჩვენს ძებნა-ჩხრეკას, ვგებ აქ მაინც აღმოხდენ ეს ქველ-მოქმედებანი. ჰოვალ საზოგადოებაში ინტელიგენცია არის საუკეთესო ნაწილი, უმთავრესი ძალა, მტკიცე ბურჯი, გზის მჩვენებელი ვარსკვლავი და იმედი ერისა. ინტელიგენცია მარილია იმ საზოგადოებისა, რომელსაც ის ეკუთვნის. ამისათვის ინტელიგენცია უნდა იყოს გამომხატველი უმაღლეს ხარისხამდე ყველა უმთავრეს ქველ-მოქმედებათა და საუკეთესო თვისებათა თავის წრისა, თავის საზოგადოებისა, იმან აგრეთვე უნდა გახზორციელოს თავის შორის თავის ერის საგულის-გულო მისწრაფებანი და ლტოლვილებანი მომავალი ცხოვრებისადმი. ინტელიგენციამ უნდა ააყვავოს და განახორციელოს ის მისწრაფებანი წარმატების და განათლებისადმი, რომელნიც იღვიძებენ გაუნათლებელი ერის სულში და გულში. ინტელიგენციამ თავად უნდა უჩვენოს უსწავლელ ხალხს უმაღლესი მაგალითები პატიოსნებისა და სამშობლო მხარის სიყვარულისა. ეს მძიმე მოვალეობა არის ინტელიგენციისათვის, მაგრამ მან ეს მძიმე მოვალეობა უნდა აღასრულოს იმის მიხედ-

ვით, რომ ვისაც ბევრი აქვს მიცემული, მისგან ბევრიც მოითხოვება. მანათლება და ცოდნათა სიმდიდრე, რომელთაც მოკლებულია უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა და რომლებითაც აღჭურვილია ინტელიგენცია, ზნეობით ვალდებულია ხდის უკანასკნელს, რომ მან განათლების ცოტაოდენი სხივი მაინც მოჰქონოს უსწავლელ ხალხს. ამ მხრით სწორეთ რომ ბედნიერი არიან ზოგიერთი ქვეყნები და ხალხები, სადაც ინტელიგენცია თავის მოვალეობას მტკიცედ ასრულებს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ინტელიგენცია, რომელიც თუმცა სწავლით წინა სდგას გაუნათლებელ ხალხზე, მაგრამ ყოველთვის თავისუფალი არ არის თავის ერის ნაკლისაგან. ამ მხრით რამდენათაც ინტელიგენციის შემადგენლობა უფრო ვრცელია, იმდენად ძლიერია მასში ეს ნაკლი.

საუბედუროდ, ჩვენი საქართველოც არ არის მოკლებული ამ ნაკლს. დასაფარავი არ არის, რომ ჩვენი ინტელიგენცია მაინცა-და-მაინც ბევრათ წინ არა სდგას თავის გაუნათლებელ ერზე და, ცოტად თუ ბევრად, ეს ინტელიგენცია მეტონე თავის მომეტა ნაკლისა. ამ მხრით ჩვენი ინტელიგენციის ერთ უმთავრეს ნაკლთაგანს, სხვათა შორის, შეადგენს შრომის და მორბედობის უარ-ჰყოფა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს.

ჩვენ მოზარდ ახალ-გაზღობაში, რომლითაც ჩვენი ინტელიგენცია ყოველ წლოვით ივსება, მეტად აღძრულია სწავლის სიყვარული და განათლებისადმი მისწრაფება. როცა ეს მოზარდე ახალ-გაზღები საშუალო სასწავლებლებში ასრულებენ სწავლას, შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში მიემგზავრებიან სწავლის დასამთავრებლად. მერ წარმოიდგენ კაცი იმ უმაღლეს

ლტოლვილებათ და მისწრაფებათ, რომელნიც უძვე-
რენ გულს და გონებას ამ ახალ-გაზღვრებს, როცა
ისინი სტოვებენ სამშობლოს და მიემგზავრებიან რუ-
სეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ამ ახალ-გაზღვრებას
გულს უწყლადენ მათი ერის ნაკლულევენებანი და
ამისათვის ისინი წასვლის დროს ფიცს აძლევენ თავის
თავს, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავიანთი
ცოდნა და ღონე მთლად თავის ხალხს მოახმარონ,
ეცადონ, რომ ხალხში მოსპონ ყოველივე ნაკლი და
მოფინონ მას განათლების სხივი. ამ დროს ეს ყმაწ-
ვილები სრულებით არ ფიქრობენ თავიანთ პიროვ-
ნულ ინტერესებზე. იმ დაბრკოლებათა წარმოდგენაც,
რომელნიც მათ ხელს შეუშლიან შემდეგ ცხოვრებაში,
როცა ისინი ხალხის სამსახურს შეუდგებიან, ვერ
აშინებს მათ. მართის სიტყვით, ეს ყმაწვილები ყო-
ველივე, რაიცა კი პირადად მათთვის გამოსადეგი
და სასარგებლო იქნება შემდეგ ცხოვრებაში, უარსა-
ჰყოფენ და ყოველივე ამას ამჯობინებენ ხალხის სამ.
სამსახურს, რომელიც მათ ამისათვის ღოცვა-კურთხე-
ვით მოიხსენიებს და მათი სახელი საუკუნოდ დარჩე-
ბა ხალხში. ასეთ ყმაწვილებს წინ-და-წინ წარმოდგე-
ნილი აქვს, რომ შეიძლება დაბრუნების შემდეგ
მათ ვერ მოიპოვონ წუთიერ ცხოვრებაში სიმდიდრე და
ნივთიერად უზრუნველ ვერ ჰყონ თავიანთი ცხოვრება,
მაგრამ ის კი ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ
ისინი ცოტაოდენ განათლებას შეიტანენ ხალხში. ეს
წარმოდგენა უფრო ძლიერდება ამ ყმაწვილებში,
როცა ისინი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას
შეუდგებიან და სადაც მათი მისწრაფებანი და ლტოლ-
ვილებანი უფრო განსაზღვრულ მიმართულებას იღებენ.
როცა ამ ყმაწვილებში ასეთ მისწრაფებათ და ლტოლ-
ვილებათ ვამჩნევთ, გვიხარია და ეფიქრობთ, რომ თუ
როგორმე მოვესწარით უმაღლეს სასწავლებლებიდან
მათ დაბრუნებას სამშობლოში, ჩვენი სამშობლო მა-
თი წყალობით უცებ გამოიღვიძებს და გამოიკვლება.
მაგრამ, საუბედუროდ, რას ვხედავთ შემდეგში? ამ
ყმაწვილების დაბრუნებას ტყუილად ვუცდით და ტყუ-
ილად გვაქვს მათი დიდი იმედი. თუ გინდათ გაი-
გოთ, თუ რა გულით ეკიდებიან ეს ყმაწვილები
უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საქმეს, რომლის
საშუალებით მათ ნამდვილად შეეძლებოდათ თავის
ერისათვის სამსახური გაეწიათ, გადავლეთ თვალი
მათ ცხოვრებას ამ სასწავლებლების კედლებ შუა და
თქვენ დარწმუნდებით, თუ რას უნდა მოელოდეს

საზოგადოება მათგან. უმეტესი ნაწილი ჩვენი ყმაწვი-
ლებისა თავის უმნიშვნელო და საქმიან შესრულებ-
ებელ წარმოდგენათა გარდა არას ფიქრობენ და არას
აკეთებენ. ბევრისთვის უმაღლესი სწავლას მალე-
ბა უკანასკნელ საგანს შეადგენს, მხოლოდ
თავის ოცნებებს ელტვის და მუდამ მათ ფიქრშია.
შრომას და საქმეს კი ისე ერიდებიან, როგორც რო-
მელიმე გადაძვებ სენს. მაგრამ ან კი რათ შეიწუ-
ხონ თავი? რათ დაჰყონ საათობით აუღატოარიებში
და ისულთქმონ გაფუჭებული ჰაერით, როცა მათ შეუძ-
ლიათ მთელი წლობით ისეიწონ თავისუფლად და
მხოლოდ ეკზამენების წინ მოიპოვონ ხელ-ნაწერი
ლექციები პროფესორებისა, წაიკითხონ და გამოცდის
დროს ორიოდ სიტყვა უთხრან გამომცდელთ. მსეც
საკმაოა ზოგიერთებისათვის, რომ ერთი კურსიდან
მეორეში გადავიდნ და ბოლოს «დაბლომიც» მიი-
ღონ და შინ მშვიდობით და ტან-მრთელად მოვიდნ.
ამ სახით ჩვენს სამშობლოში ყოველ წლობით მო-
დიან «დაბლომათ» აღჭურვილნი იურისტები, ექიმე-
ბი, მასწავლებლები და ღვთის მეტყველების მცოდნე
პირნი.

როცა ვხედავთ, რომ ყოველ წლობით ბრუნ-
დებიან ჩვენს სამშობლოში დაშლამკებით შეიარაღე-
ბულნი პირნი, ვფიქრობთ, რომ ჩვენი მხარე თან-და-
თან მდიდდება უმაღლესად ნასწავლო პირებით,
მაგრამ გამოცდილება სულ სხვას გვეუბნება. ხშირად
მტკიცდება, რომ ბევრი უმაღლეს სასწავლებლებში
სწავლადამთავრებულნი პირნი ნასწავლნი არიან მხო-
ლოდ დაშლამკებით. დავევრწმუნეთ, რომ ზოგი ახალი იუ-
რისტი უბრალო თხონასაც ვერ დაგიწერთ და უბრალო
რჩევასაც ვერ მოგცემთ, თუ როგორ უნდა აწარმო-
ვოთ სასამართლოში რომელიმე საქმე. ისეთი ექიმე-
ბიც ვიცით, რომელთაც უბრალო აუთოქოუზიასგან
მორჩენაც არ შეუძლიათ. რამდენი ჰედაგოგები ბრძან-
დებიან, რომელთაც სწავლა შესრულებიან და ცხოვ-
რებაში ძველი აღთქმის ისტორიის და ფილარე-
ის კატეხიზმოს სწავლებაც ვერ მოუხერხებიათ ყმაწ-
ვილებისათვის?

ამისთანა ნასწავლებისაგან ცოტა სარგებლობას
უნდა მოველოდეთ ცხოვრებაში. სარგებლობას კი-
დეც თავი დავანებოთ, რომ ესეთი ყმაწვილები ინტე-
ლიგენციას და საზოგადოებას შორის განხეთქილებას
და არა სანატრელ დამოკიდებულებას არა ჰბადებდნენ.
ამისთანა პირები არიან მიზეზები, რომ ჩვენი

საზოგადოება რაღაცა ურწმუნო თვალთ შესცქერის ინტელიგენციას და ეს უკანასკნელიც ყოველივე კავშირს სწყვეტს საზოგადოებასთან.

ბაბულის ჟენობა ჩვენი ენის ფორმების ხმარებაში.

რა ენა წახდეს,
ქაღ დაქდეს.

გრ. ორბელიანი.

(დასასრული *).

ახლა ვიკითხოთ, როგორ უნდა მოვეპყრათ იმ დასართავ და არსებით სახელებს, რომელნიც უცხო ენებისაგან ჩვენს ენაში შემოდიან? ამისთვის ურიგო არ იქნება მივიხედოთ ძველი დროებისკენ და გავსინჯოთ, თუ ჩვენი წინაპრები როგორ მოქცევიან უცხო ენათა დასართავ და არსებით სახელებს? ჰქონიათ თუ არა ხელმძღვანელოდ რომელიმე დასაბამი? ცხადია ექნებოდათ. ბი მაგალითებიც. უცხო არსებითი სახელები, როგორც „ფიქრი“, „აზრი“, „ნამუსი“, „სურათი“, „ბარათი“ იხმარებიან ისე, როგორც ნამდვილი მართული არსებითი სახელები, ე. ი. მათგან შეძლების გეგარად ეაწარმოებოდა გრამატიკის ფორმებს. ამას გარდა, ამ უცხო არსებითი სახელებისთვის, თუ კი მათ ძირეულ ენაში ყოფილა, არ გამოუყოლებიათ სქესი, მისთვის რომ ჩვენმა ენამ სქესი არ იცის. ღღეს კი რუსულს ენას ზოგიერთი ეაფ-ბატონები მდებარ-სქესს ესესხებიან და წაღმა-უყულ-მა წერენ და ლაპარაკობენ: გიმნაზისტკა, არტისტკა, ამაზონკა, ოპერეტკა, და სხვა, მის მაგიერ რომ ეთქვას გიმნაზისტი-ქალი, არტისტი-ქალი, ამაზონი, ოპერეტი და სხვა.

რაც შეეხება იმ უცხო დასართავ სახელებს, რომელნიც ძველდგანვე შემოსულან ჩვენს ენაში, როგორც ძველს, ისე ახალ მწერლობაშიც, იგინი წესიერად იხმარებიან; მაგ., ფაქიზი გემოვნება, ნაზად ლაპარაკი. აბა ერთს მაგალითს თუ ვინმე მიჩვენებს ან და თუ შეიძლება ითქვას ან ფაქიზური,

ან ფაქიზებული. მხოლოდ თუ დასართავის სახეს შევცვლით, მაშინ შეგვიძლია ესთქვათ; მაგ. გაფაქიება, სიფაქიზე, ფაქიზობა. ღღესაც პირ-და-პირ ხალხს მიერ შემოღანილი დასართავი სახელი იხმარება შეუცვლელად, ისე როგორც ძირეულ ენაში; მაგ., ბაზრის ხალხი იტყვის: ნეწი კაციო, ნეწი ქალიო. სერი კაბა აცვიო; ნეწად ლაპარაკობს, სკუწინად არისო. მს მღაბიური მაგალითები, რომელთაც ჩვენ, განათლებულები ვერ მივბაძვით, ცხადად გვიმტკიცებენ ხალხის გონების სიმართლეს. არ გავვიგონია არსად: ნეწური, ნეწებული; სერული, სერებული; სკუწური, სკუწებული.

ამ ხალხისადმი მიბაძვა ძლიერ გამოგადგება უცხო ენების სამეცნიერო დასართავის სახელების შემოღების დროს. ახლანდელი მწერლობა უცხო დასართავს სახელებს, რომელნიც ჩვენში, ორიგინალისამებრ, უნდა იხმარებოდნენ, უმატებს ბოლოს „ურს“ და გაზ. „ივერია“ კი უფრო ხშირად „ებურს“. შეცდომა აქ მაში მდგომარეობს, რომ გრამატიკის პრინციპი ირღვევა: დასართავს სახელს ალარაფერი დაერთვის ბოლოს.

ჩვენი მწერლობა წესიერად ხმარობდა დასავლეთის ევროპის ენებისაგან შემოსულ დასართავ და არსებით სახელებს მეცხრამეტე საუკუნემდე. მას აქეთ კი ჩვენმა სამშობლო მეცნიერებამ მოკლებულმა ლიტერატორებმა, რუსულის ენის გავლენით წმიდად გარყვნეს ახალი მართული მწერლობა. უწევრო (article) და სქესიანი რუსული ენა სულ სხვა წესებს ხმარობს, როდესაც უცხო დასართავი და არსებითი სახელები გადმოაქვს. მაგ.; შრანგული artiste, რომელიც შეიძლება ვაჟიც იქნეს და ქალიც წვერის მიხედვით, ხდება რუსულში артистъ, რომელიც გამოთქმითაც და ბოლოს მაგარის ნიშნის ლ კონე-ბითაც ვაჟს ნიშნავს. მაშასადამე ქალისთვის უნდა ითქვას артистка.

შრ. moral, რუსულში გადაღის როგორც დენ-დანშიа мораль, რომელიც ვეღარ ხატავს დასართავს, სახელს, დასართავის სახელის ტარება რომ შეიძლოს, უთუოდ უნდა მიიღოს დაბოლოება н-ый, ая, ое. აქიოვან ცხადია რუსულის ენის წესი; მაგრამ როდესაც მართველი ხმარობს უცხო დასართავ ან არსებით სახელს, მან უნდა იქონიოს მხედველობაში თავის ენის გრამატიკა, და არა უცხო ენის წესები. მაგ. Sarah Bernardt est une artiste, უნდა გადმოითარგმნოს სარა ბერნარ არტისტი-ქალი; Uenus

est une deesse mythologique მენუსი საარაქო ქალ-ღმერთია; და არა არტისტკა, ან ღმერთა. უწესურივე იქნება, რომ ითარგმნოს la question sociale სოციალური კითხვა, sociale დასართავი სახელია და როგორც თავის დროზე «ფაქიზი» უცვლელად შემოსულა, ესეც ისე უცვლელად უნდა შემოვიდეს ჩვენს ენაში. მაშასადამე უნდა ვთქვათ «სოციალი კითხვა» ისე, როგორც ითქმება „ნაზი, სათუთი არსება.“

მაგრამ შრანგულის ენაში მისთანა დასართავი სახელებია, რომელნიც აგრეთვე იხმარებიან არსებითის სახელის აზრით, მაგ. politique, physique და სხვ. ავიღოთ სიტყვა politique, ეს სიტყვა იხმარება სამნაირი აზრით: 1) საგნისთვის la politique est l'art de gouverner un Etat; 2) ადამიანისთვის, c'est un profond politique; 3) დასართავის სახელისთვის l'economie politique. ამ მაგალითითგან სჩანს, რომ politique შრანგულ ენაში უცვლელია, მხოლოდ ხან-და-ხან სქესის გამომხატველი არტიკლი დაერთვის თავს.

სანამ გადმოვთარგმნიდეთ ამ ფრაზებს, ენახოთ ბერძნული ენა როგორ ხმარობს იმავე სიტყვას. Politik, არის საგანი, სახელმწიფო მართვის ხელოვნება; politiker, კაცი, რომელსაც ეს საგანი აქვს ან იცის, politisch ნიშნავს მისამართსა.

ჩვენებურად კი ეგვე სიტყვა უნდა ითქვას ამ ნაირად: 1) პოლიტიკა, საგანი, რომელიც გვასწავლის სახელმწიფოს მართვას; 2) პოლიტიკიანი ან მოპოლიტიკე — კაცი, რომელმაც იცის და ხელთ უჭერია პოლიტიკა, 3) საპოლიტიკო, პოლიტიკიანი — რაც იპყრობს, ან შეეხება პოლიტიკას. შეკანასკნელს შემთხვევაში შეგვედლო ბერძნულის politisch მიხედვით გვეხმარა პოლიტი(კ)ური, მაგრამ მგონია საპოლიტიკომ და პოლიტიკიანმაც გამოხატოს სრულად დასართავის სახელის მნიშვნელობა.

ამ გვარადვე მეორე მაგალითი physique, მართულად შეიძლება ითქვას: 1) ფიზიკა, 2) ფიზიკიანი ან მოფიზიკე, 3) საფიზიკო, ფიზიკის, ან ფიზიკიანი.

აქ ზოგიერთს შეიძლება გაუკვირდეს, რომ დაბოლოებებს «ოს» არ ეხმარობ. ამის გამო ვიტყვი ორიოდ სიტყვას. ბერძნულის სიტყვიდან physik-os, გადმოდის მხოლოდ ძირი physik, და სადაც იხმარება, იმ ენის დაბოლოებას მიიღებს. ჩვენ წინაპრებს philosoph-os უწერიან პირ-და-პირ ფილოსოფოსად, მაგრამ ეს უცხო სიტყვათა ხმარების წესის წინა-

აღმდეგა. ჩვენს ენაში უნდა გადმოვიდეს მხოლოდ ძირი philosoph და ჩვენებურის დაბოლოებების ი-ნის დართვით გვექნება სიტყვა ფილოსოფი. ამ მაგალითის განზოგადებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხო ენებისგან აღებულ სიტყვებს მკვიდრი დაბოლოება აღარ გამოყვებათ ხოლმე: naphtha, ნაფთი, furnus, ფურნე და სხვ. ზოგიერთი ბერძნული სიტყვები თუ მათივე დაბოლოებით დამკვიდრებულან ჩვენს ენაში, რა ეუყათ, ვეცადოთ მხოლოდ, რომ შემდეგში კანონიერად ეხმაროთ უცხო სიტყვები.

ახლა ენახოთ კიდევ, თუ ზოგიერთი უცხო არსებითი სახელები რამდენად იცვლებიან ჩვენში. ავიღოთ ლიტერატურა, ეს სიტყვა შეიძლება გამოიცვალოს ამ ნაირად: სალიტერატურო, ლიტერატურული. შეიძლება მოკრიტიკემ დაწეროს სალიტერატურო წერილი და ლიტერატურული კი არ გამოდგეს. ჰერვინუსის ნაწერი სალიტერატუროც არის და ლიტერატურულიც, მაგრამ „ლიტერატურულ შენიშვნებს“ რომ სწერდნ „დროებაში“ ლიტერატურული სრულიად არ ყოფილან; მართალი უნდა ვთქვათ, ლიტერატურას კი ეხებოდნ.

ის შრანგული სიტყვები, რომელთაც დაბოლოება აქვთ tion ჰსწარმოებენ ლათინურის ნათესაობითის ბრუნვის ძირისაგან, ან უკეთ ვთქვათ პირ-და-პირ ის ძირია. ამ საშუალების ხმარებით შემდეგ ფორმების გაცემა აღვილად შეიძლება. რუსები ამბობენ революция, მის მოქმედს კი ეძახიან революционеръ, სადაც მოჩანს ლათინურის სიტყვის revolutio ნათესაობითის ბრუნვის revolutionis ძირი revolution, რომელიც დღეს შრანგულში მთელ სიტყვად გადასულა და საფრანგეთითგან გავრცელებულა სხვაგან თავის ახალის მნიშვნელობით. ჩვენ შეუცვლელად უნდა ეხმაროთ ამ გვარი შრანგული სიტყვები. მსთქვით რუსულის არა მცოდნე რამდენიმე მართველია, რა ხელი გვექნება ეუთხრათ რევოლუციონის მაგიერ დამახინჯებული და ნათხივი რევოლუცია იხმარეთო მართულს თარგმანში?

შარშან „დროებაში“ თავის ფოსტით გეაცნობა ჩვენი თხოვნის პასუხად, რომ ვეღარ შევცლითო. თუ ხორცის ტალახის მოძანვა და გაწმენდა სასარგებლოა, განა სულის (კულტურის) ტალახის მოშორება არ არის საჭირო? ჩვენი ინდივიდუალის სახის შენახვას ყოველ ნაირად უნდა ვცდილობდეთ — როგორც პირველ კაცთა ოჯახის დაყოფით, წასვლა-წამოსვლით და სრული დაჯალკვებით ბრუნვას სხვა და სხვა ენა

გაუჩინია და მასთან სხვა და სხვა სახის საზოგადოება, ისე დაახლოვებით ენა ხდება და საზოგადოების სახეც იკარგება. როგორც აღამიანი, ისე მისი ენაც იბრძვის თავის არსობისთვის.

3. მიჩაინაშვილი.

პ. ზაჩიშა,

1886 წ. 20 თებერვალს.

P. S. წინა ნომერში ზოგიერთი შეცდომა შეგეპარა. მაგალ. მე-3 გვერდის მე-2 სვეტზედ, ძირითვან მე-13 სტრიქონში ჰსწერია: «მართლიერებანი», უნდა იყოს მართლიერება. იმავე სტრიქონში ჰსწერია: «ეს მეტი», უნდა იყოს ამაზედ მეტი. მე-4 გვერდის მე-2 სვეტზედ, მე-17 სტრიქონში ჰსწერია: «ბურულს», უნდა იყოს ბურაღლს. მე-5 გვერდის 1-ს სვეტზედ, მე-22 სტრიქონში ჰსწერია: «რიცხვის დაბოლოება», უნდა იყოს: რიცხვის სრული დაბოლოება.

პ. გ.

ლ ე ჩ ხ უ მ ი დ ა მ.

წიგნუმი არის ერთი მცირე მაზრა მუთათისს გუბერნიისა. მას სამწიფრას აღმ. რაჭა, დასავ. სამეგრელო, ჩრდ. სევანეთი და სამხრ. მდინარე რიონი. ეს მაზრა არის უფრო მთავორიანი ზღვრით. მთებში არის შესანიშნავი ერთი მთა, რომელსაც ეძახიან ხომლს და რომელიც მდებარეობს სამხრეთ დასავლეთით წიგნუმისა. სამის მხრით ეს მთა არის შემოზღუდული თვალ-აუწყდენელი კლდით, მეოთხე მხრიდან აქვს შესავალი. ეს მთა ამ მაზრაში ყველა მთებზედ უმაღლესი არის; იმაზედ ასული კაცი როგორც ქორი ისრე დაატყრდება სურამიდან შავს ზღვამდის მდებარე ზღვრებს. ეს მთა მთელს წიგნუმის მცხოვრებთ საღმრთო მთად მიაჩნიათ და დიდის პატივით ახსენებენ მას და ყოველს წელს მისს სახელზედ ერთს ღღეს ღღესასწაულობენ, სახელობრ სულის წმიდის მოფენის კვირიაკის წინა ღღეს, შაბათს, რომელსაც ხვამლობას ეძახიან. ამ ღღეს ბევრს მიაქვს

იმ მთაზედ შესაწირავი. მსურდა გამეგო, თუ რაისათვის სცემენ ასეთ პატივს ამ მთას წიგნუმელები და ამისათვის მე აველი იმ მთაზედ და ენახე შემდეგი: ამ თვალ აუწყდენელ კლდის თავზედ არის ნამგრევი ეკკლესიისა, რომელშიაც ტრაპეზის ძირი შეურყეველია და ქვით არის დახურული. მასში პატარა რკინის ჯვარი ასვენია, რომლის ახლო ჰყრია ბევრი ვეცხლის და შავი ფულები და სამთელი. ბალავანი ეკკლესიისა არის ქვის, სენაკი შეურყეველია.

ამ გალავანის ირგვლივ არიან ქვის სახლები; ზოგი მათგანი თითქმის ეხლაც ვარგა კაცის დასადგომად. მარცხნივ ამ ეკკლესიის გალავნისა არის სულ ვაკე, რომელზედაც საშუაღს ადგილას არის ამოქვაბული, რომელიც სავესა წყლითა; არას დროს არ დაშრება და არც ნაპირიდან გადმოღის. მარჯვნივ გალავნისა, კლდეზედ არის გადაკიდებული დიდი ჯაჯჭვი, რკინის კოჭაზედ გამოზმული, სადაც კაცს მისვლა არ შეუძლია. ამ ვარგ-მოვებამ გამაყვრება და ამიტომ მოხუცს კაცებს ვკითხე, თუ რა გაუგონიათ ამ მთაზედ მათის ძველებისაგან და აი მათ რა მიაშხეს: „ჩვენ გაგვიგონია, რომ იქ ყოფილა ეკკლესია და ბერები. როდესაც უსჯულო მეფეს აუთხრებია წიგნუმი და დაუპყრია ყოველი ეს ადგილები, სასწაულობით მთიდგან წასრული ისრით მომკვლარა უსჯულო მეფე; რომ ასულან ჩვენები მთაზედ, უსჯულო ჯარი უნახათ და წმიდის ბიორგის ხატი, რომელიც ყოფილა გადამდგარი ამ თვალ აუწყდენელის კლდის თავზედ ეკკლესიის წინ და ხელშიდ სჭერი შეიღლი. ამ სასწაუღს შეუშინებია უსჯულო ჯარ და ეს ალებული ადგილები დაუტოვებიათ; ეს ყოფილა იმ შაბათს ღღეს, რომელიც წინეთ მოგახსენეთ. ამ სასწაუღისათვის ყველა წიგნუმის მცხოვრებნი ყოველს მეორე წელიწადს თითოეული კომლიდგან სწირავენ ამ წმიდის ბიორგის ხატებს თითო ბათბანს პურს; ეხლა ეს ხატები დასვენებულნი არიან ამ მთის მახლობელს სოფლის ეკკლესიაშიდ ს. მუყურეშში. თითოეულს ხატს ექნება სიმაღლე ორ არშინამდის და განი ნახევარ არშინამდის ვეცხლით და ოქროთი მოქედილნი და ძვირფასი თელებით შემკულნი; ეს კი არავენ აცის, თუ ვის აუშენებია იქ ეკკლესია და ან ვის დაუმგვრეცია. როდესაც დიდი გვალვა იქნება, მაშინ იმ ხატებს შეასვენებენ იმ მთაზედ დიდის პატივისცემით, წინ შემოსილი მღვდლები მიუძღვიან, უკან მისდევს ურიცხვი ჯარი. როცა მთაზე შეასვენებენ ხატებს, იმ ღამეს იქ გაათევენ ყველანი და მეორე

დღეს პარაკლისს გადიხდით, რომ წვიმა მოვიდეს. ეს შთა ჩემის ფიქრით სწორეთ დიდი შესანიშნავი შთა ყოფილა, მაგრამ რადგანაც ლეჩხუმში ძველის დროიდან განათლება არ ყოფილა, ამის გამო მას ზედ არასფერი დაუწერიათ და რომ ვინმე გამოიკვლევდეს, კარგი იქნება მისთვის, რომ ამისთანა შესანიშნავს ადგილზედ შეიძლება რამე ნივთი მოინახოს მიმალული მიწაში და ისტორიისათვის შესანიშნავი.

მღვდელი იოანე თაგვაძე.



პირველი კრება სამეგრელოს სამღვდლოებისა ქ. შოთში.

დიდი ხანი არ არის, რაც შურია-სამეგრელო და ლეჩხუმში მოაშორეს იმერეთის ეპარქიას და ძველგზურად ცალკე ეპარქიად დაარსეს. ამ ეპარქიის კათედრა დაარსდა ქ. შოთში. შოთელები ძლიერ მონდომილნი იყვნენ, რომ შურია-სამეგრელოს ეპარქიის კათედრა შოთში დაარსებულიყო და კიდევაც გაუმართლდათ სურვილი. შოთელებს, როცა ისინი თხოულობდნენ, რომ ამ ახალი ეპარქიის კათედრა შოთში დაარსებულიყო, ის ჰქონდათ სახეში, რომ სენაკის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი, რომელიც, შევიცარიის მოძრავ სკოლებსავე, ერთი ქალაქიდან მეორეში გადააქეთ და ერთი სოფლიდან მეორე სოფელში, უსათუოდ შოთში გადაეტანათ და ამით ქ. შოთის მღვდმარეობა და ეპარქია, ცოტად თუ ბევრად, წინ წაეწიათ. შოთელები, რომ თავის განზრახვა სისრულეში მოეყვანათ, მიიქცნენ ქალაქის თვით-მმართველობისადმი, რომ მას ეზრუნა ამ საქმეზე. ქალაქის მმართველობამაც დანიშნა რჩევა. რჩევამ ერთი ხმით დაადგინა შემდეგი: „თუ სენაკიდან ქ. შოთში გადაიტანილ იქნება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, იმ შემთხვევაში ქალაქი ვალდებულია ხდის თავის თავს, რომ შემდეგი შემწეობა აღმოუჩინოს სასწავლებელს: ა) ქალაქი მისცემს სასწავლებლისათვის ადგილს ქალაქის ბუღიარში სივრცით 4613 ოთხ-კუთხიან საყენს; ბ) სასწავლებლის შენობის აშენებამდის ქალაქი თავის ხარჯით

იქირავებს სასწავლებლისთვის შენობას; გ) როდესაც სამღვდლოება სასწავლებლის შენობას შეუდგება, ქალაქი თავის ტყიდან უფასოდ მისცემს მათ ყოველ გვარ ხის მასალას, რაც კი საჭირო იქნება შენობისათვის; დ) სასწავლებლის ახლოს ქალაქი ააშენებს საზოგადო საცხოვრებელ სახლს მოსწავლე ყმა-წვილებისათვის და ე) ყოველ წლობით ქალაქი ეცდება, რომ 500 მანეთამდის შემწეობა მისცეს ამ სასწავლებლის ღარიბ მაგირებს.“ აი ეს დაადგინა შოთის სამოქალაქო საბჭომ და შუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს უფ. სმეკალოვს წარუდგინა; უ. სმეკალოვმა ეს დადგენილება ადგილობრივ უმაღლეს სასულიერო მთავრობას წარუდგინა. უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან ეს წარდგინება დაბრუნდა უკანვე ამ წარწერით: „დაეკითხეთ სამეგრელოს სამღვდლოებას, სურს, თუ არა, მას რომ სენაკის სასულიერო სასწავლებელი გადატანილ იქნეს ქ. შოთში და ან რომელი ადგილი უფრო სასარგებლო იქნება როგორც მათთვის, ისე მათი შვილების ჯან-მრთელობისათვის?“ აი ამ კითხვის განსამარტებლად მათმა ყოველად უსამღვდელოესობამ შურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ბრიგორიმ მოახდინა პირველი კრება სამეგრელოს სამღვდლოებისა ქ. შოთში 10 ივნისს. კრებაზე დაესწრნენ სამეგრელოს და ლეჩხუმის სამღვდლოების წარმომადგენელი, სულ 30 დეპუტატი. კრების თავს-მჯომარედ აღრჩეულ იქნა მღვ. მ. ბრიგოლ მაჩარაფი. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა თითქმის, როდესაც კრებაში შემობრძანდა მათი ყოველად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ბრიგორი, რომელმაც გრძნობით საესე სიტყვა უთხრა კრებას; ამ სიტყვაში ყოველად სამღვდლომ ნათლად გამოხატა სწავლა-განათლების საჭიროება ჯერ საზოგადოდ და ახლანდელ დროში უმეტეს, ბრძანა აგრეთვე, თუ რა დიდი გავლენა აქვს ადამიანზედ იმ წრეს, იმ საზოგადოების ფარგალს, რომელშიდაც იგი იზრდება და ვითარდება. ბამოუცხადა კრებას უმაღლესი მართებლობის სურვილი სასულიერო სასწავლებლის შოთში გადმოტანის შესახებ და სთხოვა სამღვდლოების დეპუტატებს, რომ მათ ამ საგანზე გონიერი და დაფიქრებული მსჯელობა ჰქონოდათ. მოვლად სამღვდლო შურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ბრიგორის სიტყვებიდან ცხადათ სჩანდა, რომ სამეგრელოს სასწავლებლის გადმოტანა და დაარსება ქალაქის ადგილას სჯობდა. მოვლად სამღვდლომ ბრიგორიმ ბევრი სხვა სასარგებლო დარიგებანი მისცა სამღვდლოებას მათი მოვალეობის შესახებ.



შემდეგ ყოვლად სამღვდლო წაბრძანდა კრებიდამ რადგან გვიან იყო, სხდომა საღამოს მეხუთე საათამ დის გადადგეს.

საღამოს ხუთ საათზედ, ათ იენისსავე, შეიკრიბნენ დეპუტატები, რომელთაც კრების საქმის მწარმოებელმა ბოლარჩინმა მლ. ბ. ბერიძემ წაუკითხა ზემოთ აღნიშნული ქალაქისაგან მიცემული პირობა სასწავლებლის შესახებ. თავს-მჯდომარემ წინადადება მისცა დეპუტატებს, რომ პირველად ამ კითხვაზე ჰქონებოდათ მსჯელობა; სურსთ მათ, თუ არა, თავის სასწავლებლის გადმოტანა ქ. შოთში? ამ კითხვამ დიდი ხმაურობა გამოიწვია კრებაში: თვითთავი მღვდელი თაფისკენ აპირებდა სასწავლებლის წაღებას. მართა სურდა ახლაში, მეორეს სუფუნაში, მესამეს ძველ-სენაკში, მეოთხეს მარტვილში და სხვას კიდევ სხვაგან, მაგრამ შოთში მსურველი კი არავინ აღმოჩნდა. სოტა სიჩუმე ჩამოვარდა კრებაში; ამ სიჩუმით ისარგებლა ერთმა დეპუტატმა მლ. მ. ბოგინავამ, რომელმაც კრების წინაშე წარმოსთქვა მოკლე სიტყვა; ამ სიტყვით, სხვათა შორის, უმარჩილესი მადლობა შესწირა შოთელებს იმ გულ-კეთილობის და უხეობისათვის, რომელიც მათ სურსთ აღმოუჩინონ ჩვენ შვილებს, თუ სასწავლებელი ახალ-სენაკი დამ შოთში იქნება გადატანილი, მაგრამ შოთში ჩვენ სასულიერო სასწავლებლის გადმოტანაზე არ შეგვიძლია დაეთანხმეთო. თავს-მჯდომარემ მოითხოვა, რომ ეს კითხვა კენჭის ყრით გაეთავებიათ. შეარყს კენჭი ამ კითხვას და აღმოჩნდა, რომ შოთში სასწავლებლის გადმოტანის მსურველნი აღმოჩნდნენ ძლიერ ცოტანი.

თ. ხუსკივაძე.

სასაბართლოს მართან

მკვლელობა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორისა, დეკანოზის ჩუღუცისა ლალიაშვილის-მიერ.

(დასასრული *).

ამათ გარდა ეკითხათ ლათოშვილს, შორის სასულიერო სასწავლებლის ზედა-მხედველს ბურჯანაძეს და სემინარიის ნამოწაფარს ზაქარია უზნაძეს, რომელიც ყარაულებმა შემოიყვანეს დარბაზში.

ინსპექტორი სემინარიისა იაკობ სტეფანეს-ძე სტეფანოვი: „9 დეკემბერს მე მოწაფეების წიგნები და რეგულაციები გადაეხრეკე; ამ დროს ლალიაშვილს გუბოვნი დღიური; ამ დღიურიდამ მტკიცდება მისი მაგნი მიმართულება, მძულვარება ეკლესიურ მოძღვრებათა და სასულიერო პირთა მიმართ; აქედამე სჩანს, რომ იგი იღებდა მონაწილეობას ჟურნალს „ყუაილში“, რომელიც ფარულად გამოდიოდა. ამის გამო ლალიაშვილი დათხოვნილ იქმნა, სახელმწიფო ხარჯი მოესპო, მაგრამ იგი სრულიად უნუგემოდ არ დაგვიტოვებია: მას დაენიშნა თთვეში ექვსი მანათი. სამწუხაროდ, ამ შემწეობამ ლალიაშვილი არ გამოაკეთა: 12 მარტს მე და ჩემი თანაშემწე, სხვათა შორის, ლალიაშვილის სადგურშიაც მივედი; მე მოვთხოვე ეჩვენებინა წიგნები და რეგულაციები; იმან არ აღასრულა ჩემი ბრძანება. მე სტოლიდამ ავიღე „Отеч. записки“, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, აღკრძალულია მმართველობისაგან საკითხავად, განსაკუთრებით მოსწავლეათვის. ლალიაშვილმა მითხრა: „თქვენ არ შეგიძლიანთ არც წიგნებისა და არც რეგულაციების წაღება.“ შემდეგ კიდევ უთხარი, რომ მოეცა ხსენებული წიგნი, მაგრამ მითხრა: „წიგნი სახლში გდია, რეგული კი სამოვარზე დასწვა სახლის პატრონის ბიკმაო.“ მე მოვახსენე ყოველისფერი განსვენებულს მამა რექტორსა. ლალიაშვილი მისულიყო სემინარიის მოსამსახურებთან—როგორც მამბო მოსამსახურე

ჩიჩომ—და დაეწყო, რომ ლმერთი არ არისო, რომ ყოველისფერი ბუნებამ შექმნაო; რომ ხელმწიფეც არ არისო. „იმამე საღამოს, როცა ეს ჩაიღინა, რექტორმა შეჰკრიბა წვერები სემინარიის სამმართველოსი და ლალიაშვილი დათხოვნილ იქმნა სემინარიიდან თვისის სურვილისამებრ. შოთა-ქცევაში დაუსვეს 4, რომელიც ნიშნავს ძალიან კარგს; დათხოვნის მოწმობა მიეცა მაისის 2-ში. ჩემთვის არ უთხოვია 4-ის 5-ზე გადასწორება და არც ზორის სასულიერო სასწავლებლის მოწმობა. როცა ლალიაშვილს მიეცით დათხოვნის მოწმობა, მეც და რექტორმაც ეუთხარიო, რომ თუ რომელსამე სასწავლებელში შესვლას დააპირებს და ჩვენ მოგვთხოვენ ცნობას, მაშინ შეგვეწყვიტო და კარგს ცნობას მოგცემთო. წამოსვლისას ლალიაშვილმა ითხოვა 4 მ. 50 კ. თავის სოფელში წასასვლელად, მე ფული მიეცეო, მაგრამ იგი თბილისშივე დარჩა. დათხოვნის შემდეგ ლალიაშვილი რამდენჯერმე შემოვიდა ჩემთან და სულ დღიურს თხოულობდა. სასულიერო სასწავლებლის მოწმობაზე კი არა უთქვამს-რა, და თუნდაც ეთქვა, არ მიეცემაო, სემინარიის წესდებულებისა და უწმიდესის სინოდის განკარგულების ძალითა, როგორც სემინარიის მესამე კლასის მოსწავლეს. რექტორსაც თავის თავად არ შეეძლო გადასწორებინა 4-ნი 5-ზე ყოფა-ქცევაში.

სტეფანოვის ჩვენებაზე ლალიაშვილმა თავის მხრივ ილაპარაკა და უარყო ის გარემოება, ვითომც იმას ეთქვას მოსამსახურეებისათვის: „ლმერთი არ არის, ხელმწიფე არ არის!“

ნათესა ვეკილმა ტურკევიჩმა წარადგინა წერილი, რომელიც მისთვის სემინარიაში მოსწავლედ ნამყოფებს მიეწერათ და რომელნიც მოწმობად ვერ გამოცხადდებოდნენ, რადგანაც მათი გამოწვევის ვადა გავიდაო. ამის გამო ითხოვა წაეკითხნათ იგი წერილი. ამ წერილშიო, ამბობდა ვეკილი, აღწერილიაო, თუ როგორ ექცეოდა რექტორი მოსწავლეებსაო.

სასამართლომ უარი განაცხადა წერილის წაკითხვაზე.

პოლიციის მოხელე სოკოლუგსკი: როდესაც მე მივედი სემინარიაში, აივანზე დაინახე სისხლი და თმის ნაგლეჯი. მასწავლებლებმა ლალიაშვილი და მისი ხანჯალი მე გადმომიცეს. ლალიაშვილის პალატოს ჯიბეში მე ვიპოვე თხოვნა ექსარხოსის სახელზე და გარდავეცი გამომძიებელს.

სასამართლოს დადგენილობით კითხულობენ ლალიაშვილის თხოვნას ექსარხოსთან და თხოვნის შავსა რექტორთან; ამ უკანასკნელ თხოვნაზე არის წარწერა: „მიეუწყათ თვითოეულს ღმრთისმამებრ“. ბრალდებული ამბობს: ეს ფრაზა არასფერო ნიშნავს, ეს საღმთო წერილიდამ ამოღებული აღვილიაო.

ძეოდ-ჭებელი შაპოვალი: იანვრიდან 24 მაისამდე ლალიაშვილი ჩემთან სცხოვრობდა, ჩემს შეილებს ასწავლიდა და ამიტომ ვინახავდი უფასოდ. ლალიაშვილი მეუბნებოდა ხოლმე, რომ რექტორს უნდაო ჩემი სემინარიიდან დათხოვნა ისე, როგორც რიგიაო. სამდურავს არ ამბობდა რექტორზე, არც ცუდად იხსენიებდა, უკმაყოფილო იყო მხოლოდ ინსპექტორზე.

ნათესა ვეკილის ტურკევიჩის კითხვებზე მიუგო: ლალიაშვილს ნემსიც არა ჰქონია, არამც თუ სხვა რამე იარაღი; ძალიან ღარიბად იყო; ლოგინიც არა ჰქონდაო.

თავს-მჯდომარის კითხვაზე მიუგო, რომ ლალიაშვილს არ განუცხადებია მისთვის: რომ 24 მაისს შემდეგ იგი გაჰყვებოდა მდგომარეობაში იქმნება; ამაზე ბრალდებულმა უპასუხა: რა საჭიროება მოითხოვდა, რომ მე მაგისტრის გამცხადებინაო.

მაჩიამ შაპოვალი: ლალიაშვილს ჩვენსა ძალიან კარგად ეჭირა თავი; როცა ის ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა, თავის საქმეს უფრო ყურს უგდებდა, ვინემ ჩვენს ბავშვებს. როდესაც ინსპექტორი მოვიდა, ლალიაშვილმა უთხრა: „თქვენ ნება არა გაქვთ წიგნები მომთხოვოთო.“ რექტორს არ ემდურებოდა; იმაზე ამბობდა ხოლმე, რომ კარგი და კეთილი კაციაო.

შემდეგ ჰკითხეს იმ მოწმებს, რომელნიც ვეკილმა გამოიწვია.

ზაქარაა უზნაზე (გამორიცხული მოსწავლე სემინარიიდან, რომელიც დაპატიმრებულია მეტეხის ციხეში, შემოიყვანეს ყარაულ ქვეშ): არაფერი არ ვიცი არც მკვლელობაზე და არც იმაზე, თუ რა განწყობილობა იყო ლალიაშვილსა და რექტორს შორის.

ნინო მასაშვილის (ყრუ სამოც-და-ათის წლის მოხუცი). პეღლანი კარგი აზრისანი იყვნენ ლალიაშვილზე; მე ავიყვანე აღსაზრდელად, როდესაც ჯერ ისევ პატარა იყო და ობლად დარჩა. ვეკილის კითხვაზე მიუგო, ლალიაშვილი მშვიდი და წყნარი იყო.

ზედამხედველი ბორის სასულიერო სასწავლებლისა დათმობილი: როდესაც ლალიაშვილი ჩვენს სასწავლებელში იყო, ძალიან კარგი ყოფა-ქცევისა იყო, მშვიდი, მაგრამ ცოცხალის ბუნებისა; მე კარგის აზრისა ვიყავ იმაზე. რამდენადაც მახსოვს, ჩვენს სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ მოწმობაში ყოფა-ქცევაში ჰქონდა 5-ი.

მეკილისაგან გამოწვეული იყო მოწმედ პავლე ბურჯანაძე, მაგრამ არა ჰკითხეს; არ წაიკითხეს ჩვენებანი მღვდლის მანქელეასი და დ. მახათაძისა. წაიკითხეს განსვენებულის რექტორის ჩუღეცკის ჩვენება. შემდეგ სასამართლომ გადასდო საქმე სალამოს ექვს საათამდე.

სალამოზე ტურკევიჩმა სთხოვა სასამართლოს სამი ადგილის წაკითხვა ლალიაშვილის დღიურიდან და უჩვენა მე-10, 13 და 16-ე გვერდი საქმისა. ბრალ-მდებელმა გასინჯა ექილისაგან დასახელებული ადგილი და ყაბული განაცხადა წაკითხვაზე. მდივანმა წაიკითხა. იმაში იყო მოხსენებული, რომ სემინარიელებმა საწოლ ოთახებში რაღაც ჭიები აღმოჩინეს; რომ ისინი შეხედნენ ვიღაც მღვდელს, რომელიც საჩივლელად მიდიოდა რექტორთან; აღწერილი იყო დღეობა სემინარიისა და ექსარხოზის ქადაგება; მაგრამ, რადგან ყველა ეს საქმეს არ ეხებოდა, შეწყნარებულ არ იქმნა. შემდგომ ამისა ილაპარაკა ბრალ-მდებელმა.

თანაშემწემ სამხედრო ბრალ-მდებელისამ მრნასტკიმ დაიწყო თვისი ლაპარაკი იმ სიტყვებიდან, რომლებიც ლალიაშვილს ეწერა თხოვნის ქაღალდზე რექტორთან: „მიუწყით თვითეულს ღირსებისამებრ.“ „შსაბუთობისა გამო არ შეეხო იმას, თუ ვისზე იყო ნათქვამი ეს სიტყვები, შეეხებოდნენ თვით განსვენებულს ჩუღეცკის, თუ არა. როდესაც საბუთებს საქმისასა შეეხო, სიტყვა, რომ საქმე ერთობ ცხადია უფრო იმიტომ, რომ მკვლელი იქავე შეიპყრეს, ამიტომ ამაზედ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არისო.“

ბრალ-მდებელმა უარჰყო ის მიზეზები, რომელნიც თვის გასამართლებლად ლალიაშვილმა წარადგინა ჩუღეცკის მკვლელობის თაობაზე. როდესაც შეეხო ლალიაშვილის გამოარიცხვას ჯერ სახელმწიფო ხარჯიდან და შემდეგ სრულებით სემინარიიდან, სიტყვა, რომ უადგილოაო ამეზე ჩემის მხრივ მჯელობაო, რადგან ამ საქმის ასე თუ ისე განსამართლება სემინარიის მთავრობის საქმეაო, შეეხო რა იმ

გარემოებას, რომ ლალიაშვილს მოუხდებოდა გამოარიცხვის შემდეგ ეფიქრნა თავის თავზე, ლუკმა პურზე, ბრალ-მდებელი ამტკიცებდა სტეფანოვის ჩვენების ძალით, რომ ლალიაშვილისთვის საჭირო არ იყოვო, რომ ისე თავ-გამოღებით თხოულობდა 4-ს ნიშნავს ძალიან კარგსაო. ჩვენება ლალიაშვილისა, ვითომც ის 16-ჯერ მივიდა რექტორთან, სრულიად უმართლოა, რადგანაც ხშირის მსგელოდობით თავს მოაწყენდა და მაისის 24-ში აღარ მიიღებდა მას რექტორიო. ლალიაშვილის ლაპარაკი იმაზეა, ვითომ იმას ინსტიტუტში არ მიიღებდნ 4-ით ყოფა-ქცევაში ერთობ საეჭვოა. ლალიაშვილს ჰქონდა განზრახვა წასულიყო ბორში ბებიასთან, მაგრამ ეს არ აღასრულა, როგორც არ აღასრულა ისა, რომ შესულიყო სახელმწიფო ან კერძო სამსახურშიო.

მოიხსენა რა ყველა ეს, ბრალ-მდებელმა განაცხადა, რომ ლალიაშვილი სრულიადაც არა ყოფილა განწირულს მდგომარეობაში; რომ არაფერი მიზეზი არა ჰქონდა მოეხდინა ასეთი საშინელი მკვლელობაო.

ჩვენება ლალიაშვილისა იმაზე, რომ მკვლელობა ჩაიდინა ადვოკატების ქამს, უმართლოა. ბრალ-მდებელმა უჩვენა ლალიაშვილის ჩვენებათა სხვადასხვაობაზე ეხლა და თავ-და-პირველად შესახებ რექტორთან ბაასისა მკვლელობის წინად; შეადარა ჩუღეცკის ცოლის და მანქელეების ჩვენებებთან, შემდეგ უჩვენა სასამართლოს, რომ ხანჯალი შემთხვევით არ ჩაუფარდა ხელშიო, განზრახვით ჰქონდა ნაშოვნო. შევლა ამის გამო ბრალ-მდებელი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლალიაშვილი მაისის 24 მივიდა დეკანოზ ჩუღეცკისთან წინად გარდაწყვეტილის აზრით, რომ იგი მოეკლათ.

ბრალ-მდებელმა განაცხადა, რომ ეს საქციელი ლალიაშვილისა ექვემდებარება 1454 სტ. დასჯათა წესდ. და ძალითა უმაღლესის ბრძანებისათა, რომელიც ამ საქმის გამო მიღებულია, ექვემდებარება 279 სტ. სამხედრო დასჯ. წესდ., ე. ი. სიკვდილით დასჯას ეძლევაო.

მაგრამ მცირე-წლოვანობისა გამო ბრალდებულისა ეს კანონი წესდებისა უნდა შეუმსუბუქდესო. როდესაც გაარჩია და შეადარა ყველა ნაირი ცნობანი ლალიაშვილის წლოვანობის გამო, შეიწყნარა ნამდვილად, რომ ლალიაშვილი არის დაბადებული 1866 წელს, იანვრის 2-სა. მცირე-წლოვანობისა გამო

ბრალ-მდებელმა დაიწყო ლაპარაკი სასჯელის შემსუბუქებაზე და შეადარა-რა 80 მუხლი სამხედრო წესდებულებისა 139 დასჯ. წესდების მუხლითან დაამას-და-გვარად იხელთ-მძღვანელა-რა უმაღლესის სამხედრო სასამართლოს 1870 წ. № 40-ს განაჩენით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოცის წლობით კატორგაზე ნაკლები სასჯელი ვერ დაენიშნებაო.

ბურკევიჩმა, ნათიკმა ვეკილმა ლალიაშვილისამ, ძალიან ვრცლად ილაპარაკა და თავის სიტყვაში ამტკიცებდა, რომ ლალიაშვილი გაპირებულ მდგომარეობაში იყო, როდესაც იგი სემინარიიდან გამო-რიცხესო და ველარსად შევიდა. იმას სიმშლით სიკვდილი მოელოდაო. დახატა მისი ხასიათი, მდგომარეობა, სთქვა, რომ ლალიაშვილი ყოვლად საბრალო კაციაო; ოცის წლის კატორგაში გაგზავნა არ შეესაბამება მის დანაშაულობასაო. და ამიტომ სთხოვა სასამართლოს ეშუამდგომლათ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე მისის სასჯელის შესამსუბუქებლად, რომ ოცის წლის კატორგა შეეცვალოსო და ციმბირში გაიგზავნოს საცხოვრებლადო.

შემდგომ ბრალდებულის მცირე სიტყვისა, სასამართლო რეის ნახევარ საათზე გავიდა განაჩენის დასადგენად და 10 ს. და 15 წ. საღამოთი გამოიტანა და წაიკითხა ჩვენის მეთხვევლების-მიერ უკვე ცნობილი განაჩენი.

ახალი აგებები და შენიშვნები.

თერთმეტსამ თვეს მობრძანდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს არქივისკოპოსი პავლე თბილისში პიატიგორსკადამ და თუთხმეტს ამ თვეს მარტყოფში წაბრძანდა საზაფხულოდ.

ბოსლევის საზოგადოებაში (შორაპნის მაზრაში) ს. ბოსლევის წმინდის ბიორგის ეკლესიის სამრევლოში მისი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის ნება დართვით სამრევლო სკოლის შენება დაუწყიათ ადგილობრივი ეკლესიის შემოსაღობის საშუალებით.

იმერეთის ეპარქიაში რევიზია უყო სამრევლო სკოლებს სახალხო სკოლების დირექტორმა ბ. ლევიცკიმ და ინსპექტორმა ბ. შორქაშვილმა.

თუმცა ხალხის შეკრება რომელიმე საქმის გამო და ყრილობის მოხდენა კვირა-დღესასწაულ-დღეებში დღეებში არის აღკვეთილი, მაგრამ ამ განკარგულებას ყურადღებას არაფერს აქცევს. ძვირა უქმე დღეები სხვა სამუშაო დღეებთან სრულებით გასწორებულია, რომელსაც ხალხზედ ზნეობის მხრით ძლიერ ცუდი გავლენა აქვს.

თუმცა გუბერნატორისაგან ფიცხელი განკარგულება იყო მოხდენილი, რომ ყველა სოფლის ეკლესიებზედ ყარაული დაეყენებიათ, მაგრამ ამ მშვენიერმა განკარგულებამ ყველა სოფლებამდის ძალა ჯერჯერობით ვერ მიიტანა.

ამ ცოტა ხანში ჩვენ შეგვხდა შვირილის გზით ს. ბოსლევამდის მოგზაურობა. ეს გზა მეტის-მეტად გაფუჭებულია. როდესაც პირველად ხედავთ გზას, ფიქრობთ, რომ ამ ქვეყანაში ხალხი აღარ ყოფილა და გზაც გაუქმებულაო, მაგრამ აქა-იქ ჩავარდნილი მართული და იმკრული ურმები, შავი-ქვით დატვირთულნი და მათ ზედ დასეული ხალხი, მოგაგონებენ, რომ ამ გზის მეტი აქ სხვა გზა არ ყოფილა. ჩვენ აქამომდე გვიკვირდა, რომ შავი ქვის თითო ფუთის გადმოტანაში მეცურმეები ოც-და-რვა კაპიკს თხოვლობდნენ. მხლა, როდესაც ჩვენი თვალთ ენახნო მეურმეების გაჭირვება გზაში, ის გვიკვირს, რომ რატომ ორ აბაზსაც არ თხოვლობენ ფუთზე გადმოსატანს.

შორაპნის მაზრის სამღვდელო პირებისაგან ჩვენ მოგვდის საჩივრის წერილები ოჯახებზე სივრცის შემდგენელ მოხელეებზე. ამ წერილებით სამღვდელო პირნი ზოგიერთ ამ მოხელეების უწყსო მოქმედებას აგვიწერენ. თითოეულ სამრევლოში ხუთი და ექვსი დღე რჩებიანო და თან არ გვიცილებენო. ღლისასწაულ და კვირა დღეებში არც ჩვენ გვაძლე

ვენ წირვის ნებას და არც ხალხს უშვებენ ეკლესია-
ზეო. მაგრამ, მაღლობა ღმერთსა, ყოფილან ისეთი პა-
ტიოსანი პირებიც სიების ამწერლებში, რომელთაც
საზოგადოება დიდის პატივისცემით იხსენიებს.
მაგალითებო: ნამეტანი მაღლიერია საზოგადოება ბ.
ბოლდანიოვისა, ნ. ალაიძისა, მ. ლორთქიფანიძისა,
იოსელიანისა და სხვათა ზოგიერთთა პირთა, რო-
მელთა ზრდილობიანი მოქცევა საუკუნო მოსახსენებ-
ლად დარჩება იმ საზოგადოებას, სადაც იყვნენ იგინი
სიების შემადგენლებათ.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი ბლალაჩინის
მღვდლის იოსებ წერეთლისაგან:

„ამ მღვდლმარე წლის 5 მარტს გავგზავნე „ივე-
რიის“ რედაქციაში 6 მან. ფული, და ესთხოვე, რომ
დ. შვირილის სტანციაში ეგზანათ ჩემთვის „ივერიის“
№ № ფოსტით, მაგრამ ჯერ ერთი № არ მიმიღია.
მეორეთ განუხეარე ჩემი თხოვნა რედაქციას; მაგ-
რამ კიდევ ვერაფერი შევიტყვე მისგან. ცხლა თქვენის
გამოცემის საშუალებით ესთხოვ „ივერიის“ რედაქც იას
მაცნობოს: ჩემ მიერ გაგზავნილი 6 მან. ფული მიი-
ღო, თუ არა?“

შვირილაში იმყოფება ერთი კაცი, რომელიც
ავათ-მყოფებს იყვანს საექიმოთ. მრავალი ავათმყოფე-
ბი მიდიან მასთან საექიმოთ. ამ კაცს თან დააქვს
ყოველგვარი წამლები და აძლევს სნეულებს. არ ვი-
ციტ კი, თუ რამდენათ იცის ამ კაცმა ექიმის ხელობა,
მაგრამ ხალხი კი ძლიერ ემადლიერება.

ამას წინეთ სოფლის მწისელოს (თელავის მაზ-
რაშია) ეკლესიის მრევლნი იყვნენ პასუხის გებაში
მიცემულნი იმისათვის, რომ წინააღმდეგობა ჩაიდინეს
თავადის განსვენებულის ჯორჯაძის დამარხებაზე მათ
მათ საკუთარ ეკლესიაში. ბევრი ხალხი იყო ამისა-
თვის პასუხის გებაში; მაგრამ თბილისის ოლქის სა-
სამართლომ ყველანი გაამართლა.

როგორც სხვა შემთხვევაში, ისე აქაც დამტკიც-
და, რომ თავად ჯორჯაძეს ერთი გროშიც არ ქო-
ნებია დახარჯული ამ ეკლესიის აშენებაზე და განახ-
ლებაზე. ბლენები გადაყოლილი იყვნენ ამ ეკლეს-
იის გაკეთებაზე და, რასაკვირველია, რომ მათ არ

ისურვებს დამარხვა იმისთანა კაცის გემისა, რომელიც
ეკლესიის გაკეთებაზედ ერთ გროშსაც არ შეწევია.
მაგრამ ნათესაების თხოვნით მაზრის უფროსმა ძა-
ლით დაამარხებინა და გლენები პასუხის გებაში
მისცეს. ღვს მართლ-მსაჯულებამ კი გაამართლა,
როგორც ზემოთ ვსთქვით.

მღვდელთა საუბრადღებოდ.

როგორ უნდა ათქმევინოს მღვდელმა აღსარება
ურუსა, მუნჯსა და ვისაც ენა დადუმებია რო-
მელიმე სნეულებისა გამო?

ურუსა, მუნჯსა და მათ, ვისაც ენა დადუმებია სნე-
ულებისა გამო, მაგრამ ცნობა სრული აქვსთ, მღვდელმა
უნდა ათქმევინოს აღსარება გარკვენი ნიშნების საშუა-
ლებით, რომლითაც შეიძლება ადვილად გამოხატეს გა-
ცის შინაგანი სულიერი მდგომარეობისა. თუმცა ამის-
თანა აღმსარებელი ანიშნებს მღვდელს გარკვენი სახით
და ნიშნებით თავის ცოდვილ მდგომარეობას, მღვდელმა
უნდა წაუკითხოს მას შენდობის ლოცვა და აზიაროს
იგი. თუ ურუ-მუნჯმა წერა იცის, მაშინ უმჯობესია
ქაღალდზე დაწეროს და ჩამოთვალოს თავისი ცოდვანი.
მღვდელმა, წაიკითხავს ის ამ წერილს თუ არა, მაშინვე
აღმსარებელის თვალს წინ უნდა დასწავს ეს წერილი და
ამით დააწმუნოს აღმსარებელი, რომ მისი აღსარება
საიდუმლოთ რჩება. ამისთანა შემთხვევებში მღვდელსაც
შეუძლია წერილობის საშუალებით დაარკოს აღმსარე-
ბელი.

შეიძლება თუ არ ზიარება სუფელისა და გონე-
ბით სნეულთა და უჭკუოთა?

შეიძლება ღვამდე ბავშვებს ჩვენ კაზიარებთ უაღსარე-
ბოთ მშობლების საწმუნოების მისედეით. გონებით
სნეულებიც ბავშვებს ემსგავსებათ. ისინი ცუდ საქმეს
და ბოროტებას მოხაზრებით და მოფიქრებით არ ჩა-
დიან. ამისათვის, ჩვენის აზრით, ამისთანა პირები
მღვდლებმა უნდა აზიარონ უაღსარებოთ.

განცხადებანი.

ისუიდებიან მღვ. დავით ღამბაშიძისაგან
გამოცემული წიგნები:

თბილისში: ზრიქუროვის წიგნის მა-
ლაზიაში. შუთაისში: ძმ. შილაძეების
წიგნის მალაზიაში. შვირილაში: შვირი-
ლის ნათლის-მცემლის ეკლესიის საეკლე-
სიო ნიუთების საწყობში და დ. ხონში:
წერეთლის წიგნის მალაზიაში.

სახელდობრ:

**საქართველოს საეკლესიო
ისჯორია**

ფასი უუდოთ—ცხრა შაური.

ქართული ლოცვანი,

ფასი უუდოთ 30 კ. და უდიოთ 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრუ-
ლების დროს საჭირო

სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი უდიოთ ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა
წესდგომება, ფასი პირი აბაზი.

ახალი პარაგადინი,

ფასი უდიოთ ერთი მან.

ყვირილის საეკლესიო სანთლის საწყობში
ისუიდებიან აგრეთვე ყოველ-გვარი საღმრთო საეკ-
ლესიო წიგნები და ნივთები.

„თეატრი“

საუოველ - კვირაო ლიტერატურული გაზეთი
განაგრძობს ხელის-მოწერის მიღებას ამა მეორე
ნახევარი წლისას.

წლიური ფასი . . . 5 მ.

ნახევარ წლიური . . . 3 მ.

სსკა ვადით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა და განცხადებები მიიღება მხო-
ლოდ ქ. თბილისში—რედაქციის კანტო-
რაში, (არწრუნისეულ ქარვასლაში, № 110.

ძალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ამ აღრესით შეუძ-
ლიანთ დაიბარონ გაზეთი: Тифлисъ, Въ редакцію
газеты „Театръ“.

რედაქტორ-გამომცემელის მაგიერი მ. ზუნია.

(3—1)

შინაარსი: ჩვენი ზამთარი ვაჟ-ბატონების
და ქალ ბატონების საუუადადობად.— ბაბულის შენობა
ჩვენი ენის ფორმების სმარებაში.— ლექსუმიდამ.—
სამკეტელის სამღვდელთების ზიარული კრება ფოთში.—
მკვლელთა თბილისის სასულიერო სემინარიის რეკ-
ტორისა, დეკანოზის ჩუდუცისა ლაღაშვილის მიერ.—
ახალი ამბები და შენიშვნები.— მღვდელთა საუუადად-
ობად.— განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. ღამბაშიძე.

Доз. цензурою Кутаисъ, 19 Июля, 1886 г.

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. ღამბაშიძისა და ე. ი. ხელაძისა.